ბიუროს სხდომის
ო ქ მ ი N1

ქ. წალენჯიხა 2022 წლის 22 მარტი

ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა, საკრებულოს თავმჯდომარე კორნელი სალია. ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ავთანდილ გაბელია, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი დარსალია, ბაჩანა ქანთარია, ომარი ქარდავა, მაია მიქავა, გონერი კვარაცხელია, თემური ქარდავა.

ბიუროს სხდომა დაიწყო:11:00 სთ.
ბიუროს სხდომა დასრულდა: 11:40 სთ.

სხდომის თავმჯდომარემ კორნელ სალიამ ბიუროს წევრებს გააცნო

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1.საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის შედგენის თაობაზე;
2.სხვადასხვა

მოისმინეს:1. საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის შედგენის თაობაზე;

საკრებულოს თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტი. დღის წესრიგის პროექტი შედგა შემდეგი სახით:

1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ;

2. „წალენჯიხის მუნიციპლიტეტის წევრების (გარდა თანამდებობის პირების პირებისა) მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 აპრილის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

3. „წალენჯიხის მუნიციპლიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 01 თებერვლის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

4. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 თებერვლის N7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 თებერვლის N7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

5. მუნიციპალიტეტის ქონების 2022 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ

6. მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ

7. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში (იჯარით) აუქციონის ფორმით - გაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

8. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან წალენჯიხის მუნიციპალიტეტში 2022-2024 წლებში დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების თაობაზე

9. 2021 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ანგარიშის თაობაზე

10. სხვადასხვა

სხდომის თავმჯდომარემ კორნელ სალიამ აღნიშნა, რომ საკრებულოს კომისიებმა, გაერთიანებული კომისიების სხდომაზე განახორციელეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტით განსაზღვრული საკითხების განხილვა, მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად.

მოისმინეს: 2 სხვადასხვა. ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ მაია მიქავამ, მოითხოვა საკრებულოს წევრების ჩართულობა მერიაში არსებული კომისიების მუშაობაში, რაზეც დაეთანხმნენ ბიუროს წევრები.
საკრებულოს თავმჯდომარემ კორნელი სალიამ ბიუროს წევრებს გააცნო ახალი პროექტი - „შენი იდეა წალენჯიხას“, რომელის ინიციატორები არიან თავად საკრებულოს თავმჯდომარე და მისი მოადგილე გიორგი დარსალია.
ასევე ბიუროს წევრებს გააცნო, რომ საუკეთესო პროექტების შერჩევის მიზნით, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულო აცხადებს კონკურსს. კონკურსის მიზანია ახალგაზრდების გააქტიურება და მათი ჩართულობის გაზრდა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში, მათი ინფრასტრუქტურული, კულტურულ-საგანმანათლებლო, ტურისტული ინიციატივების მხარდაჭერა, რომელიც საშუალებას მისცემს კონკურსანტებს ადგილობრივი თვითმმართველობის წინაშე დააყენონ მათთვის საჭირო ინიციატივები.
გამარჯვებული პროექტის გამოსავლენად საჭიროა შეიქმნას კომისია, რომლის შემადგენლობაში გამჭვირვალობის მიზნით სასურველია მონაწილეობდეს ყველა პარტიიდან თითო ახალგაზრდა და ასევე საზოგადოების წარმომადგენელი.

ქონების მართვისა და ბუნებრიბი რესურსების კომისიის თავმჯდომარე თემურ ქარდავამ საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით „მუნიციპალიტეტის ქონების 2022 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.“ ბიუროს წევრებს მისცა ინფორმაცია, რომ კომისიის წევრებმა ადგილზე შეისწავლეს საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანილი ობიექტები, მათი აზრით, საპრივატიზაციო ნუსხიდან ამოსაღებია სამი ობიექტი ესენია: ქ. წალენჯიხა მაიაკოვსკის ქუჩა 52კვ.მ ს/კ 47.11.43.344, ფახულანის ადმინისტრაციულ ერთეულში ყოფილი სასადილოს შენობა ს/კ 47.09.31.104. ლიის ადმინსტრაციულ ერთეულში ყოფილი კოლმეურნეობის შენობა ს/კ 47.02.35.190.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, ავთანდილ გაბელიამ უკმაყოფილება გამოთქვა, რომ დღემდე საკრებულოს ორი კომისიის თავმჯდომარე არაა არჩეული, კერძოდ, სოციალურ საკითხთა და იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიების თავმჯდომარეები.

რაზეც საკრებულოს თავმჯდომარემ უპასუხა, რომ წარმოეყენებინათ კანდიდატები და განიხილავდნენ.

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

სხდომის თავმჯდომარე კორნელი სალია.